ქვესტანდარტის მოთხოვნებთანშესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ,,შპს პელაგონის“ იჯარით სარგებლობათი არსებუულ მე-3 სართულზე განთავსებულია 12 ოთახი, ხოლო მე-4 სართულზე 3 ოთახი. სკოლა ,,შპს პელაგონის“ მე-3 სართულზე განთავსებულია 10 საკლასო ოთახი, 1 ადმინისტრაციის ოთახი, 1 სამედიცინო კაბინეტი, ხოლო მე-4 სართულზე განთავსებული იყო სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა კომპიუტერულ ლაბორატორიას და ბიბლიოთეკას იყენებდა საკლასო ოთახად (კომპიუტერული ლაბორატორია ასევ არის მე-8 კლასი, ბიბლიოთეკა პირველი კლასი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკისგან და კომპიუტერული ლაბორატორიისგან საკლასო ოთახების ცალკე გამოყოფის შესახებ. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში სამასწავლებლოსთვის განკუთვნილი ოთახი შეცვალა საკალასო ოთახით და განათვასა მე-8 კლასი, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორია გააერთიანა ბიბლიოთეკასთან (ბიბლიოთეკას გამოიყენებს ისტ-ის გაკვეთილების ჩასატარებლად) და კომპიუტერული ლაბორატორიიის ოთახში განათავსა პირველი კლასი. სკოლაში ყველა ოთახი განათებულია ბუნებრივი განათებით. საკლასო ოთახებში და საწყობში განთავსებულია 114 მერხი (60-ერთადგილიანი და 54 ორადგილიანია) და 143 სკამი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები. მერხებისა და სკამების ეს რაოდენობა საკმარისზე მეტია სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობასთან მიმართებაში. სკოლას განაცხადი გაკეთებული აქვს 102 მოსწავლეზე. გარდა მერხებისა და სკამებისა საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, კარადებით, პლაკატებით, რუკებით, ცხრილებით, ჰიგიენის დაცვის წესებით. ასევე ფოიეში გამოკრულია მოსწავლეთა ნახატები, სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი ფოტომასალა და ნამუშევრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ნასყიდობის ხელშეკრულებებით; • ანგარიშ-ფაქტურებით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან; • შიდა აზომვითი ნახაზი .
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ,,შპს პელაგონს“ არა აქვს სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი, მაგრამ სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ახლო მდებარე სპორტულ დარბაზთან, სადაც სპორტის გაკვეთილები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. აღნიშნულ სპორტულ დარბაზში მოსწავლეთა გადაადგილება ხორციელდება მიკრო ავტობუსით. სკოლას მძღოლთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. სკოლის დირექტორის განმარტებით არის ერთ-ერთი მოსაწვლის მშობელი, რაც განაპირობებს კიდევ უფრო მეტ ნდობას. მძღოლი და სპორტის მასწავლებელი უზრუნველყოფენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირებასა და გადადგილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ სკოლის დირექციასთან; • ინტერვიუ სპორტის მასწავლებელთან; • ხელშეკრულება მძღოლთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ,,შპს პელაგონს“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ცალკე გამოყოფილი არა აქვს, თუმცა STEM ლაბორატორის სასწავლო რესურსები, კერძოდ, რეოსტატი, მულაჟები, მიკროსკოპი, თვალსაჩინოებები და ხელსაბანი ნიჟარა განთავსებულია მე-12 კლასში. ასევე შესაძლებელია ლაბორატორიის ბუნებრივი განიავებაც ფანჯრების საშუალებით. ამ ოთახში ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ლაბორატორიული აღჭურვილობის სრული კომპლექტი, მაგრამ ხანძრის შედეგად ნაწილი განადგურდა, ამიტომ გეგმავენ ახალი კომპლექტის შეძენას. ამ მიზნით სკოლას 2022 წლის 01 დეკემბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ლიმესთან“ 12 ათასი ლარის ოდენობის ფიზიკის ქიმიისა და ბიოლოგიის აღჭურვილობის შეძენაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • გასაუბრება სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ,,შპს პელაგონის“ ელექტროენერგიით და წყლითა უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება საქალაქო ქსელიდან. სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან და „ეპე ჯორჯია“-დან. საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლის შენობისგათბობა ხდება დენის ღუმელების საშუალებით. შენობაში მოწყობილია გოგონებისა და ბიჭებისათვის სველი წერტილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ,,შპს პელაგონში“ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც სკოლის მე-4 სართულზეა განთავსებული, რომელიც კომპიუტერულ ლაბორატორიასთანაა ინტეგრირებული. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 მაგიდა 6 სკამი. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. ბიბლიოთეკას აქვს ანბანური კატალოგი. საინვენტარო წიგნის მიხედვით ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1869 ერთეული წიგნადი ფონდი, რომელშიც შედის მხატვრული ლიტერატურა, მეთოდური ლიტერატურა და კლასების მიხედვით გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების თითო-თითო ეგზემპლარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნებზე სათანადო ადგილას დასმულია სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები მინიჭებული აქვს, წიგნების გატანა/ მოტანის აღირიცხვისათვის ბიბლიოთეკაში შექმნილია მკითხველთა ფორმულარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; • ბიბლიოთეკის დებულება; • საინვენტარო წიგნი; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	,,შპს პელაგონს“ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ, შენობის შიგნით, ერთ მხარეს, I,II და III სართულის შიდა კიბეებზე მოწყობილია პანდუსები (ასაკეცი). სკოლის შენობაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ პირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის. ექსპერტთა ვიზიტის დროს არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • სკოლის დირექტორთან გასაუბრება;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,პელაგონს“ აქვს 7 კომპიუტერი (4 ლეპტოპი და 3 პერსონალური კომპიუტერი), 2 პრინტერი. მათგან 1 კომპიუტერი და 1 პრინტერი განთავსებულია ადმინისტრაციაში, 6 კომპიუტერი და 1 პრინტერი კომპიუტერული ლაბორატორიაში, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გაერთიანებული იქნა ბიბლიოთეკასთან. სკოლა ლეპტოპებს, იყენებს საკლასო ოთახებში სხვადასვა პროექტებისა და პრეზენტაციების განსახორციელებლად. სკოლას შექმნილი აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი. სკოლას აქვს ვებ-გვერდი **Pelagoni.website3.me** . სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდის განახლების და სკოლის შესახებ უფრო მეტი საჭირო ინფორმაციის განთავსების. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება მაგთიკომისგან. ბიბლიოთეკაში/კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული თითოეული კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე სკოლაში არსებული სასკოლო საზოგადოებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულებები; • ანგარიშფაქტურები; • მიღება-ჩაბარების აქტები; • ვებ ვერდის დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტია.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,პელაგონს“ შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლის ორივე სართულზე, განთავსებულია ცეცხლმაქრები - სულ 3 ცეცხლმაქრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტებია; • დირექტორთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე კორპუსში (სართულებზე) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც საჭიროებდა განახლებას, რადგან დამზადებული იყო დიდი ხნის წინ, არ ჩანდა ვის მიერ იყო დამზადებული და რაც მთავარია შენობის ნაწილში ჩატარებული იყო კონსტრუქციული ცვლილებები (ოთახების გაერთიანება/გადატიხვრა). სკოლას მიეცა რეკომენდაცია ევაკუაციის გეგმების განახლების. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საევაკუაციო გეგმის დამზადების შესყიდვის ინვოსისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საევაკუაციო გეგმები; • ახალი საევაკუაციო გეგმის დამზადების ინვოისი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა შპს ,,პელაგონს“ აქვს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დანიშნულებით გამოყოფილია ცალკე ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N041/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების დანართი 2-ში მოცემული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ მე-4 მუხლის შესაბამისად სამედიცინო კაბინეტი საჭიროებს რამდენიმე სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის დამატებას, კერძოდ, სამედიცინო კაბინეტში არ იყო განთავსებული: მაცივარი, საკაცე, ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი, სპეციალური ცხრილი მხედველობის შესამოწმებლად. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია სამედიცინო აღჭურვილობის სრულყოფის შესახებ. სკოლის ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მისი მოვალეობები. გარდა ამისა ექიმი მოვალეობაა შეატყობინოს დირექტორს და მშობელს ყოველ საგანგებო სიტუაციის შესახებ და იმოქმედონკოორდინირებულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ექიმის ხელშეკრულება; • ჩანაწერების წიგნი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობები, რომელის შესახებაც სკოლას შესათანხმებლად გაგზავნილი აქვს წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, თუმცა ჯერ პასუხი არ მიუღია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ვიზიტის პერიოდში დამონტაჟებული იყო 2 გარე კამერა და 7 შიდა კამერა, სულ 9 კამერა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია ერთი შიდა კამერის დამატების მე-4 სართულის კიბის უჯრედზე. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის შენობის მე-4 სართულზე კიბის უჯრედის ვიდეომეთვალყურეობის მიზნით, სკოლამ დამატებით შეისყიდა 1 კამერა და წარმოადგინა შეყიდვის დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ერთი გარე კამერა, რომელიც დამონტაჟებული იყოს სკოლის შენობის წინა ფასადზე არ მუშაობდა. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ხორციელდებოდა სკოლის წინა ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიისგან, რის შედეგადაც დაზიანდა ერთი გარე კამერა. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა მეორე სემესტრის დაწყებამდე უზრუნველყოფს აღნიშნული კამერის აღდგენას. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის კანონს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტია; • ვიზუალური დათვალიერება; • დირექტორთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას ეფექტურად ფუნქციონირებისათვის შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სკოლის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება. სკოლის წესდებით განსაზღვრულია: სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი; სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის ორგანოების; დამფუძნებელთა საბჭოს უფლებამოსილება; სკოლის დირექციის უფლება-მოვალეობები; სკოლის პედაგოგიური საბჭოს უფლება მოვალეობები; მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება მოვალეობები; დისციპლინარული კომიტეტის შექმნის წესი; სკოლის ქონების, დაფინანსების, ანგარიშგებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წესი; სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაცია და წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი. რის საფუძველზეც არის შექმნილი დანარჩენი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი;

	• ხარისხის უზრუნველყოფის დებულება; • სკოლის წესდება; • სკოლის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა შპს,, პელაგონს“ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები. 6 წლიან გეგმაში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მუდმივი გაუმჯობესება, სკოლაში დასაქმებულ პირთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება, სკოლის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება, სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება. თითოეული მიზანი გაწერილია ვადებში და მინიშნებულია პასუხისმგებელი პირები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან. თითოეული სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის შესაბამისი აქტივობები გაწერილია ერთი წლის კალენდარში, ასევე ჩაშლილია პასუხისმგებელი პირებიც. სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი სადაც განხილულია სკოლის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარე, საფრთხეები, შესაძლებლობები, რის საფუძველზეც შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• SWOT ანალიზი; • 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. წესის თანახმად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კორესპონდენციები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით: • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნი; • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმის წარმოების ერთიანი წესი; • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნი; • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა შპს ,,პელაგონს“ 2022-2023 სასწავლო წლის შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს 20 პედაგოგი, მათ შორის 7 უფროსი მასწავლებელი, ერთი წამყვანი მასწავლებელი, 12 უსტატუსო მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავენ სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ექიმი, მძღოლი, 1 დამლაგებელი. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია დებულებაში. მასწავლებელთა რესურსი საკმარისია სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჯამში ჰყავს 24 თანამშრომელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • Eschool ბაზით; • სტრუქტურული ერთეულების დებულება; • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე; • საშტატო განრიგი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	20
მოწვეული/მაძიებელი	0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0/12 უსტატუსო
უფროსი მასწავლებლი	7
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა შპს ,,პელაგონში“ მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ესგ-ს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად. შერჩევის პროცესში მასწავლებლებს მოეთხოვებათ დოკუმენტების პირობების გაცნობა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მასწავლებელთა ხელშეკრულებების გაცნობისას ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია უსტატუსო მასწავლებელების ხელშეკრულების ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტტა რეკომენდაციები და უსტატუსო მასწავლების ხელშეკრულებები მოყვანილი იქნა კანონთან შესაბამისაობაში. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV და ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა. პირადი საქმეების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს არა აქვს აღებული <u>სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ</u> <u>დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელ ცნობა.</u> <u>ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელ ცნობის მიღებას განახორციელებს იანვრის თვეში. აღნიშნული ცნობის მიღება შესაძლებელი არ არის ქალაქ სენაკში, აქედან გამომდინარე შეფერხდა ამ ცნობის მიღება სკოლის პერსონალის მიერ.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეები; • განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის -eschool-ის ბაზა; • ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევეწახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც გაწერილია მასწავლებელთა შერჩევის წესი, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. შინაგანაწესში გაწერილია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. ასევე განსაზღვრულია ასევე, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომლების წახალისების ფორმებს. ასევე შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, თუმცა ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია შინაგანაწესში დისციპლინურ გადაცდომათა და შესაბამის დისციპლინურ სახდელების შესახებ მუხლის გადახედვის და მკაფიოდ, კანონთან შესაბამისობაში შექმნის. სკოლის მიერ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში აღნიშნული მუხლი მოყვანილი იქნა კანონშსაბამისობაში. შინაგანაწესით გათვალისწინებულია მასწავლებლის და თანამშრომლის მიღების წესი. განხილული საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს პელაგონიმ წარმოადგინა მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების მიმართულებით გავლილი ტრენინგების დამადასტურებელი სერთიფიკატები და ცნობები. ამასთან ერთად, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მისი დებულება. ჯგუფი ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილის შეფასების სქემები და მასწავლებელზე მიცემული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ტრენინგების სერთიფიკატები და ცნობები; 2. გაკვეთილზე დასწრების შეფასების სქემები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ინტერიუს დროს მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა უზრუნველყოფს მათი შვილებისთვის უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას და ისინი სრულიად კმაყოფილნი არიან. მშობლები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მასწავლებელთა მხრიდან მზრუნველობის გამოჩენის მაღალ ხარისხს. მასწავლებლებიც აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში თანამშრომლობის და ურთიერტპატივისცემის განსაკუთრებული გარემოა, სკოლაში არიან მასწავლებლები, რომლებიც დაარსების დღიდან მუშაობენ და არიან მიმდინარე სასწავლო წელს მისული მასწავლებლებიც. ახალი მიღებული მასწავლებლებიც კმაყოფილები იყვნენ დამხვდური მასწავლებლების თანამშრომლობის ხარისხით. რაც შეეხება მოსწავლეებს, მათ ისაუბრეს სკოლის მასწავლებლების მხრიდან მუდმივ მზაობაზე მათ დასახმარებლად. ყოველივე ეს აქტივობა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას პოზიტიური გარემოს შექმნას
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუები სკოლის წამომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	<u>სკოლას მიეცა რჩევა თანამშრომლებს ააღებინოს სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ</u> <u>დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელ ცნობა.</u>
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 24.01.2023.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.